საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №5

2024 წლის 26 თებერვალი

ქ. თბილისი

„შპს „გალტ ენდ თაგარტ ესპივი 2“-ის აქტივების მმართველ კომპანიად ლიცენზირების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2023 წლის 29 დეკემბრის №483 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 4 დეკემბრის №346/04 ბრძანების საფუძველზე:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „შპს „გალტ ენდ თაგარტ ესპივი 2“-ის აქტივების მმართველ კომპანიად ლიცენზირების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2023 წლის 29 დეკემბრის №483 განკარგულებაში და ამ განკარგულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შპს „ბი ოუ ჯი აქტივების მართვის“ აქტივების მმართველ კომპანიად ლიცენზირების თაობაზე“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს შპს „ბი ოუ ჯი აქტივების მართვაზე“ (ს/ნ: 404696389) აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობის ლიცენზია.“.

2. აღნიშნული განკარგულება 10 დღის ვადაში გამოქვეყნდეს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

ვიცე-პრეზიდენტი **ეკატერინე მიქაბაძე**

საქართველოს ეროვნული ბანკი